

**შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს  
სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი  
ოქმი №1**

ქ. ბათუმი

18 ოქტომბერი 2021 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ნოდარ კონცელიძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

**სატენდერო კომისიის წევრები:**

ზურაბ გვენცაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს ნარჩენების მიღება-დამუშავების სამსახურის უფროსი (დირექტორის მოადგილე), კომისიის წევრი;

გოჩა აბაშიძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

დავით ფუტყარაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს იურისტი, კომისიის წევრი;

გოჩა გაბრუშიძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს იურისტ-კონსულტანტი, კომისიის წევრი;

რუსლან ანთაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს სამეურნეო უზრუნველყოფის და მატერიალური რესურსების სამსახურის მენეჯერი, კომისიის წევრი.

ნუგზარ ვერძაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მონიტორინგის სპეციალისტი კომისიის წევრი;

ელდარ ცინცაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს გარემოსა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი

*შენიშვნა: კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გურამ თამაზაშვილი - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს დირექტორის მოადგილე არ ესწრება კომისიის სხდომას (იმყოფება იზოლაციაში).*

**სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:**

ლალი ცოცხალაშვილი - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს შესყიდვების კოორდინატორი.

თამარ გუმბერიძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს ოფისმენეჯერი;

თამარ ჩხიკვაძე - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მთავარი ბუღალტერი

სხდომას უძღვებოდა სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ნოდარ კონცელიძე.

სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ლალი ცოცხალაშვილი.

**დღის წესრიგი:**

შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“-ს მიერ (ს/ნ 245626684) საჭიროებიდან გამომდინარე, (CPV 44200000,) ახლად მოწყობილი ნაგავსაყრელის პოლიგონისთვის სტრუქტურული მასალების (კონტეინერების) შესყიდვის მიზნით (2021 წლის სახსრებით), შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების დამტკიცება და დამტკიცებული პირობების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №12-ით დამტკიცებული, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (აბრევიატურა-NAT) განსაზღვრული მეთოდით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ კონცელიძემ სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ლალი ცოცხალაშვილი.

**მოისმინეს:**

სატენდერო კომისიამ მოისმინა სატენდერო კომისიის წევრის ზურაბ გვენცაძის მოხსენება, 2021 წლისათვის სტრუქტურული მასალების, ასაწყობი შენობების-მცირე ზომის კონტეინერი, თამბაქოს მოწვევისთვის განკუთვნილი (1 ცალი) და სამორიგო კონტეინერი (3 ცალი) შესყიდვის აუცილებლობისა და შესასყიდი ობიექტის რაოდენობის, ტექნიკური მახასიათებლების შესახებ, რაზეც დამატებით წარმოადგინა 23/08/2021წ. N 103-03 მოხსენებითი ბარათი თანდართული დანართებით.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ლალი ცოცხალაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული შესასყიდი ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებით განხორციელდა ბაზრის მოკვლევა, პოტენციურ მომწოდებლებს მათ ელექტრონულ ფოსტაზე დაეგზავნათ შესაბამისი შეტყობინებები. ფასთა კვლევაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე პოტენციურმა მომწოდებელმა. ბაზრის კვლევის პროცესში გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია (ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება მოწოდებული ფასების საშუალო არითმეტიკული გამოთვლის მედოლის გამოყენებით, რომელიც შეადგენს 60600 (სამოცი ათასი ექვსასი) ლარს.

ასევე, სატენდერო კომისიას განსახილველად წარედგინა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაციის კითხვარი თანმხლები დანართებით.

სატენდერო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი, რაზედაც არსებითი ხასიათის შენიშვნები არ ყოფილა.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ (CPV 44200000) სტრუქტურული მასალების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-15 მუხლის თანახმად, დამტკიცდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია, ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი.
2. დღის წესრიგით გათვალისწინებული შესყიდვის ღირებულება განისაზღვროს 60600 (სამოცი ათასი ექვსასი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით.
3. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების შესაბამის ველში ატვირთვა და განახორციელოს ამ ოქმის დადგენილებითი ნაწილის შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების შესრულება

კომისიის თავმჯდომარე

ნოდარ კონცელიძე



კომისიის წევრები:

გურამ თამაზაშვილი

ზურაბ გვენცაძე



გოჩა აბაშიძე



დავით ფუტყარაძე



გოჩა გაბრუშვიძე



რუსლან ანთაძე



ელდარ ცინცაძე



ნუგზარ ვერძაძე



აპარატის წევრები:

ლალი ცოცხალაშვილი



თამარ გუმბარიძე



თამარ ჩხიკვაძე

